ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №39

24 იანვარი, 2020 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
3. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
4. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
5. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) მიერ მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032002310-03. 23.01.2020);

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032002368-03; 23.01.2020);

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032002368-03; 23.01.2020);

4. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032002368-03; 23.01.2020);

5. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0320016134-03; 16.01.2020).

სხდომას თავმჯდომარეობდა - თედო ისაკაძე.

მომხსენებლები:

- **ირაკლი თავართქილაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ,,ქონების მართვის სააგენტო“-ს ხელმძღვანელი;
- **თამარ მელიქიშვილი** - თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ,,ქონების მართვის სააგენტო“-ს ხელმძღვანელის მოადგილე;
- **ვასილ აბულაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) მიერ მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032002310-03. 23.01.2020):**

თ.ისაკაძე - მოგესალმებით, დღევანდელ სხდომაზე განვიხილავთ დედაქალაქისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. საკითხების წარმომდგენებს ვთხოვ გაგვაცნონ პროექტები.

ი. თავართქილაძე - მოგესალმებით, დედაქალაქის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დაიწყოს მიკროავტობუსების ავტოპარკის განახლების პირველი ეტაპი, საუბარია 300 ერთეულ M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალების შესყიდვაზე და პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ლარად სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

წარმოდგენილია განკარგულების პროექტი, რომლის თანახმადაც, ფორმდება ხელშეკრულება შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და იმ ოთხ კომპანიას შორის, რომლებიც ამჟამად თბილისის მიკროავტობუსების ქსელს ოპერირებენ.

მოგეხსენებათ, კომპანიას ამ ეტაპზე არ აქვს შესაბამისი რესურსები თავად შეიძინოს ახალი მიკროავტობუსები, მაგრამ თუ კომპანია თავისი საქმიანობის განმავლობაში გაიუმჯობესებს ფინანსურ მდგომარეობას, ვალდებული იქნება გამოისყიდოს მერიის მიერ შეძენილი მიკროავტობუსები.

შ. ოგბაიძე - რა პრინციპით მოხდება მძღოლების ხელფასის ანაზღაურება და ასევე, მიკროავტობუსები ჩაერთვებიან თუ არა გადახდის იმ საშეღავათო პროცესში, რომელიც ამჟამად მოქმედებს ავტობუსებსა და მეტროში.

ი. თავართქილაძე - მძღოლების ხელფასების ანაზღაურების პრინციპებზე ხელშეკრულებაში საუბარი არ არის, ეს შემდგომი განხილვის ეტაპს წარმოადგენს. რაც შეეხება საშეღავათო მგზავრობას მივესალმებით და განვიხილავთ. ,,სისტრას" რეკომენდაციაც სწორედ ის არის, რომ ყველა საზოგადოებრივ ტრანსპორტში ერთნაირი საშეღავათო პირობები მოქმედებდეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/კ 202886788) მიერ მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032002310-03. 23.01.2020) განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032002368-03; 23.01.2020):**

ვ.აბულაძე - მოგეხსენებათ, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის ფარგლებში უქმდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური და დედაქალაქში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, ფუძნდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ,,**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო**" და მტკიცდება შესაბამისი დებულება.

მნიშვნელოვანია, რომ დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ექნება საკუთარი

შემოსავალი, რაც დადებით გავლენას მოახდენს თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე.

დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის პირველი მარტიდან.

თ.ისაკაძე - დიდი ხანია გვქონდა მოლოდინი ახალი სამსახურის ჩამოყალიბების და მოხარული ვარ რომ შეიქმნა ახალი სააგენტო. ამასთან, გთავაზობთ, რომ რესურსების დაზოგვისა და შემდგომში სააგენტოს ეფექტური საქმიანობის უზრუნველსაყოფის მიზნით, შეიცვალოს პროექტით შემოთავაზებული სტრუქტურა და რამდენიმე სამსახური გაერთიანდეს. უფრო კონკრეტულად, სამსახურების ფორმირება მოხდეს შემდეგნაირად:

ა) ადმინისტრაციული სამსახური;
ბ) მარშრუტების დაგეგმარების სამსახური;
გ) საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური;
დ) საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამსახური;
ე) სატრანსპორტო ნაკადების ავტომატიზებული მართვი სამსახური;
ვ) ურბანული მობილობის ანალიტიკის სამსახური;
ზ) საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების სამსახური;
თ) სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური;
ი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების სამსახური;
კ) მონიტორინგის სამსახური.

ვ. აბულაძე - ვეთანხმებით შემოთავაზებულ ცვლილებებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032002368-03; 23.01.2020) განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032002368-03; 23.01.2020):

ვ. აბულაძე - წარმოდგენილი პროექტით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლში შედის ცვლილებები.

რომლის თანახმადაც, უქმდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურები და ფუძნდება საჯარო სამართლის იურიდიული პირები - სსიპ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო“ და სსიპ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახური“.

დადგენილების ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2020 წლის 1 მარტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032002368-03; 23.01.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032002368-03; 23.01.2020):**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, უქმდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური და შესაბამისად ძალადაკარგულად ცხადდება სამსახურის დებულება.

ცვლილება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დედაქალაქში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, ფუძნდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო“. სააგენტოს მიზანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში სატრანსპორტო პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება, შესაბამისი კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობის

წარმოება და თბილისის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის პროცესების მართვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სამსახური ანგარიშვალდებული იქნება დედაქალაქის მთავრობის წინაშე.

დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის პირველი მარტიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032002368-03; 23.01.2020) განხილულ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

5. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0320016134-03; 16.01.2020):

ვ. აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის თანახმად, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ ევალება შპს „სი-ტი პარკის” მიერ ამ დადგენილების ამოქმედებამდე შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებულ ადმინისტრაციულ სახდელთან (ჯარიმასთან) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებასთან დაკავშირებით ყველა საჭირო ქმედების განხორციელება მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის

ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0320016134-03; 16.01.2020) განხილულ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თედო ისაკაძე